

საქართველო

„ზ.მ.+“

შ.პ.ს.



GEORGIA

„ Z.M.+ “

L.T.D.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური
ანგარიშგება

ქუთაისი 2020 წელი

1. ზოგადი იონფორმაცია

შპს „ზ.მ.“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 12.01.2015 წელს ს/ნ 412704863. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია ქ. ქუთაისი, თბილისის ქ N13.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

- | | | |
|---------------------|-----------------|-----|
| 1. გიორგი შანიძე | პ/ნ 60001029895 | 50% |
| 2. მერაბ ჩაგიაშვილი | პ/ნ 60002003088 | 50% |

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო-სარემონტო მასალების რეალიზაცია, საბითუმოდ.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღია 2020 წლის 31 დეკემბერი. ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი არის 2020 წელი.

2. ზოგადი დებულებები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ისეთი უტყუარი და სამართლიანი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო იქნება დაინტერესებული პირებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. შეფასების დროს ამ პრინციპებიდან გადახვევის შემთხვევაში, გაკეთდება განმარტებები ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა აკეთებს გარკვეულ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლების გავლენას ახდენენ აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენაზე.

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნები აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისთვის. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებებისგან. აქედან გამომდინარე, პერიოდულად ხდება ამ შეფასებების განხილვა და საჭიროებისამებრ განახლება, კორექტირება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებში, როდესაც ამის შესახებ გახდება ცნობილი.

3. წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხავს აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში-ლარში. ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საშედეგო ცხრილები.

კერძოდ:

ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;

საქმიანობის შედეგების ცხრილი;

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	410 322	64 359	21 470
საეკუთნო და სხვა მოთხოვნები	3 280 199	2 210 161	1 527 007
მარაგები	13 957		
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	160	5	54
ძირითადი საშუალებები			
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	1 550 338	2 038 006	1 520 221
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5 254 976	4 312 531	3 068 752
სულ აქტივები			
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	460 996	562 265	439 520
საეკუთნო ვალდებულებები			
ანარიცხები	3 866	17 163	17 951
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	27 567	33 353	15 678
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები	1 494		
სხვა ვალდებულებები	493 923	612 781	473 149
სულ ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს ში	10 000	10 000	10 000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები	4 751 053	3 689 750	2 585 603
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)			
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	4 761 053	3 699 750	2 595 603
სულ საკუთარი კაპიტალი	5 254 976	4 312 531	3 068 752
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
	3 704 478	2 274 520	1 548 531
სულ მოკლევადიანი აქტივები	493 923	612 781	473 149
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	2020	2019
ნეტო ამონაგები	16 650 168	16 594 648
საქონლის გაყიდვიდან	16 650 168	16 594 648
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	(15 135 848)	(15 038 883)
გაყიდვების თვითღირებულება	1 514 320	1 555 765
საერთო მოგება		
სხვა საოპერაციო შემოსავალი	(156 879)	(300 510)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(40)	(49)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	210 102	223 873
საპროექტო შემოსავალი	(20 497)	(21 465)
საპროექტო ხარჯი	(10 170)	(10 170)
იჯარის ხარჯი	(39 769)	(42 052)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(17 253)	(150 373)
სულ საოპერაციო ხარჯები	1 497 067	1 405 392
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	(228 524)	
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სხსრების გადაფასებიდან	972	80
მიღებული დივიდენდები	4 212	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1 273 727	1 405 472
მოგების გადასახადის ხარჯი	(7 386)	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1 266 341	1 405 472
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	1 266 341	1 405 472
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3 699 750	2 595 603
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(205 038)	(301 325)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	4 761 053	3 699 750
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

განმარტებითი შენიშვნები

4. სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოს საქმიანობის შინაარსს, ეკონომიკურ მოვლენებს.

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით, საქონლის შესყიდვა და რეალიზაცია კლიენტზე საბითუმოდ ხდება დასაწყობების გარეშე, პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვის ღირებულებას დამატებული ტრანსპორტირების თანხა.

	2020	2019
საძენელი	13957.00	0.00
ჯამი	13957.00	0

6. ძირითადი საშუალებები

საზოგადოებას ძირითადი საშუალება გააჩნია მხოლოდ საკონტროლო სალარო აპარატი რომელიც ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

ისტორიული ღირებულება	საოფისე ინვენტარი	ჯამი
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	246	246
შემოსვლა	195	195
გასვლა		-
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	441	441
შემოსვლა		
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(241)	(241)
ცვეთა 2020	(40)	(40)
გასვლა		-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(281)	(281)
საბალანსო ღირებულება		
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	5	5
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	160	160

7. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

ნაღდი ფულის მოძრაობა ხორციელდება სალაროს მეშვეობით. სალაროდან ნაღდი ფულის გაცემისა და მიღების ოპერაციებს ასრულებს მოლარე. სალაროში ნაღდი ფულის მიღება ფორმდება „სალაროს შემოსავლის ორდერით“, „სალაროს შემოსავლის ორდერი“ შედგება ორი ნაწილისაგან: ერთი ნაწილი ორდერია, რომელიც ოპერაციის შესრულების შემდეგ რჩება საწარმოში, ხოლო მეორე-ქვითარი, ეძლევა სალაროში ფულის შემოქმედს პირს. „სალაროს შემოსავლის ორდერის ჩამოსაჭრელ ხაზზე, ქვითრის მოცილებამდე ისმება ორგანიზაციის ბეჭედი. სამუშაო დღის ბოლოს სალაროში შემოქმედნილი თანხა, ანგარიშვალდებულ პირს სრულად შეაქვს საბანკო ანგარიშზე რომელიც თანხის გატანის ოპერაცია სალაროდან ფორმდება „გასავლის ორდერით“.

ანგარიშწორება მხარეთა შორის შეიძლება განხორციელდეს უნაღდოდ, რაც გულისხმობს გადამხდელის ანგარიშიდან ფულის გადარიცხვას მიმღების ანგარიშზე. საწარმო მომსახურე ბანკიდან ღებულობს „ამონაწერს ანგარიშსწორების ანგარიშიდან“. იგი ასახავს ნაშთს ამონაწერის პერიოდის დასაწყისისთვის, ბანკის მიერ განხორციელებულ ჩამოწერებს, ანუ სადებიტო ბრუნვას; ბანკის მიერ განხორციელებულ ჩარიცხვებს და შენატანებს, ანუ საკრედიტო ბრუნვასა და საბოლოო ნაშთს პერიოდის დასასრულისთვის.

საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების წყაროა საქონლის რეალიზაცია და გასესხებული თანხებიდან საპროცენტო შემოსავლები.

	2020	2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0.00	0.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	396774.00	63279.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში აშშ დოლარი ექვივალენტ ლარში	13548.00	1080.00
სულ ჯამი	410322.00	64359.00

8. იჯარა

ოპერაციული იჯარა. როდესაც საწარმო წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

9. აქტივები და ვალდებულებები

საზოგადოება აკოტროლებს წარსულში მომხდარი მოვლემების შედეგად აქტივების რესურსებს, რის საფუძველზეც იღებს და მომავალშიც მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება გარიგების ფასით, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას და გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საზოგადოებას აქ ვალდებულებები წარსულში მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან. ასეთი ვალდებულებები (კრედიტორული) მოცემულია ხარჯის სახით, რაც წარმოადგენს მიღებული სერვისის ან პროდუქციის ასანაზღაურებელ თანხას.

სავაჭრო ვალდებულებები სრულდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი.

	2020	2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3280199	2210161
გრძელვადიანი მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან	1550338	2038006
სულ ჯამი	4 830 537.00	4 248 167.00

	2020	2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	460996	562265

10. მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიის მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც არაა დაკავშირებული მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომელიც დაკავშირებული არაა ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

11. კომპანიის კაპიტალის აღრიცხვა

11.1 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით და შეადგენს 10000 ლარს.

11.2 სხვა რეზერვები და დაფინანსება- კომპანიას არ გააჩნია

12. დივიდენდი

დივიდენდები საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში საანგარიშო პერიოდში.

კომპანიამ დივიდენდი გასცა დამფუძნებლებზე 205038 ლარი.

13. შემოსავალი

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ მის მიღებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

საპროცენტო შემოსავალი შედგება დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტისაგან.

	2020	2019
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	16650168	16594648
დაფუძნებლის შენატანი	972	80
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4 212.00	0
საპროცენტო შემოსავალი	210102	223873
სულ ჯამი	16867474	16820620

14. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის.

წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საზოგადოების საქმიანობის შედეგი. შედეგებში აისახა მთლიანი და მათ შორის საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობები.

14.1 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2020	2019
საპენსიოს ხარჯი	2 828.00	5014
სალარო აპარატის ხარჯი	102.00	114
საწვავის ხარჯი	34 606.00	33985
საბანკო ხარჯი	2 233.00	2939
სულ ჯამი	39769.00	42052.00

საპროცენტო ხარჯი მოიცავს თიბი ბანკიდან მიღებულ გარანტიებს. თიბი ბანკის გარანტია მოქმედია და მისმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 20497 ლარი.

15. ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

ბალანსი და ტრანზაქციები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთიერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ანგანახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

15.1 საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 წლის 31 დეკემბრი მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3142433
გაცემული გრძელვადიანი სესხი	1550338
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18963

მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავს შპს „ზ.მ.“ -ზე სასაქონლო მატერიალური ფასეულობის რეალიზაციიდან წარმოქმნილ მოკლევადიან მოთხოვნებს რომელიც შეადგენს 3142433, შპს „ვესტ საიდიდან“ მისაღებ სესხებს 1550338.


საწარმოს ასევე გააჩნია მოკლევადიანი ვალდებულებები (სატრანსპორტო მომსახურეობაზე) შპს „ზ.მ.“ -ის მიმართ 5435 ლარი და შპს „ბითაბა“-ს მიმართ (სატრანსპორტო მომსახურეობაზე) 13528 ლარი.

მთ. ბუღალტერი:



/ გ.იოზაშვილი/

დირექტორი:



/ მ.ყრუაშვილი/

